წაგების მიზეზი - ტაქტიკური წინდაუხედაობა

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 23 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მოსკოვი) - 0:2 (0:0).

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მოსკოვი: პილგუი, შტაპოვი, გრებნევი, ზიკოვი, დოლბონოსოვი, ჟუკოვი, ეშტრეკოვი (ლარინი), მასლოვი, კოზლოვი (პისკუნოვი), კოჟემიაკინი, სიომინი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები - 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ყოველ წაგებას აქვს თავისი მიზეზი. შეიძლება, ერთი გუნდი საერთოდ ძლიერი იყო მეორეზე, ან სრული უპირატესობა ჰქონდეს თამაშის მსვლელობისას, მაგრამ მაინც დამარცხდეს. ასეთ დროს შეხვედრის შედეგს ხშირად განმარტავენ მოულოდნელობისა და შემთხვევითობის ფაქტორით - ესე იგი, ან მატჩის შედეგი არ შეესაბამებოდა მოწინააღმდეგე მხარეთა ძალას, ან საქმეში ჩაერია ფორტუნა და წაღმა წასული საქმე უკუღმა შემოატრიალა.

ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ხდება ისიც (და საკმაოდ ხშირადაც), რომ ლოგიკის თვალსაზრისით გამარჯვება ერთს უნდა ხვდეს, 2 ქულა კი მიაქვს იმას, ვინც მთელი თამაშის განმავლობაში განწირულია.

მაგრამ ყოველ ასეთ შემთხვევას არ შეიძლება არ ჰქონდეს კონკრეტული მიზეზი, რომელიც ამ მოულოდნელობას იწვევს.

მოვლენათა მსვლელობის მიხედვით, თბილისის დინამოელებს არ უნდა წაეგოთ მატჩი მოსკოველ თანაკლუბელებთან, მაგრამ გამარჯვება, როგორც იცით, სტუმრებს დარჩათ და ამას აქვს გარკვეული მიზეზი, თანაც რამდენიმე.

დავიწყოთ იმით, რომ თბილისის “დინამო” ახლა ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებშედეგიანი კოლექტივია უმაღლეს ლიგაში და ხუთეულშია იმ გუნდებს შორის, რომელთაც გოლები ვერ გააქვთ. გავიდა 11 ტური, თბილისელებმა ოთხ მატჩში საერთოდ ვერ შეძლეს მეტოქეთა კარის აღება, ექვსჯერ თითო ბურთი გაიტანეს და მხოლოდ ერთხელ (“ზენიტთან”) მოახერხეს 2 ბურთის გატანა.

ეს ამბავი რომ შემთხვევითი მოვლენა არაა, ნათლად გამოჩნდა მოსკოვის “დინამოსთან” მატჩში.

პირველი ტაიმი გუნდმა საუცხოოდ ჩაატარა, კოლექტივის ყველა წევრი იბრძოდა ნამდვილი სპორტული თავგანწირვით, მაღალ ტექნიკურ დონეზე, ენერგიულად, დიდი აგრესიით, მაგრამ მარტო აგრესიისა და ტერიტორიული უპირატესობისთვის ფეხბურთში ჯერ არავის დაუწესებია ქულები. რა მოგვცა იმან, რომ მოსკოვის “დინამო” პირველი ტაიმის განმავლობაში დეზორგანიზებული, დაჩაგრული და საკუთარ კარს მიჯაჭვული იყო, ხოლო პილგუი ყოველ წუთს გოლის გაშვების შიშით იყო შეპყრობილი? არაფერი. მოსკოველთა მეკარე იოლად გადაურჩა ამ განგაშს და მისი გუნდიც მშვიდობიანად წავიდა დასასვენებლად.

თბილისელებს ძვირად დაუჯდათ ფიზიკური რესურსების ასეთი “ზეგეგმითი” ხარჯვა პირველ ტაიმში და, როცა თამაში განახლდა, ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ სტუმრებს გაცილებით მეტი ენერგია და ძალა შერჩათ საბრძოლველად, რომ მეორე ტაიმში მატჩის ბედს გადაწყვეტდა მათი უკეთესი ფიზიკური მომზადება.

მოსკოველებმა მძიმე სიტუაციაში მინდორზე გამოიყვანეს 2 ახალი მოთამაშე - ლარინი და პისკუნოვი. ორივე შეცვლამ წამალივით არგო მათ. პისკუნოვი მაშინვე სრული ძალით ჩაება თამაშში და დიდი დახმარება გაუწია თავის დაღლილ ბარტნიორებს, ლარინის თამაშში ჩართვის იდეა არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა: იგი გამოიყვანეს იმიტომ, რომ შესაფერისი მომენტი შეექმნათ მისთვის კარში დასარტყმელად. ლარინს აქვს ეს იარაღი - დისტანციიდან ძლიერი დარტყმა, ამიტომ საჭირო იყო მისი ნეიტრალიზება. თბილისელთაგან არავის მოსვლია აზრად მკაცრი კონტროლის ქვეშ აეყვანა ლარინი (ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან ასე ჩანდა) და არ მიეცა მისთვის კარში დამიზნების საშუალება. ამით მოსკოველმა კარგად ისარგებლა, რამდენიმეჯერ დაარტყა და ერთ-ერთი ცდა 84-ე წუთზე გოლით დაამთავრა. მეორე გოლმა, რომელიც მასპინძელთა დაცვის აშკარა შეცდომის შედეგად გაიტანა კოჟემიაკინმა 87-ე წუთზე, მხოლოდ განამტკიცა სტუმრების გამარჯვება, ვინაიდან დარჩენილ 6-7 წუთში თბილისელები ძნელად თუ შეძლებდნენ იმას, რაც 83 წუთის განმავლობაში ვერ შეძლეს.

ახლა საკითხავია, საჭირო იყო თუ არა ცვლილების მოხდენა ჩვენს გუნდში, რომელიც მეტოქეზე გაცილებით მოქანცული ჩანდა მეორე ტაიმში და ჰაერივით საჭიროებდა ახალ, დასვენებულ მაშველ ძალებს? რა თქმა უნდა, საჭირო იყო. საჭირო იყო, თუნდაც, ლ. ნოდიას შეცვლა. იგი ვერაფერ სარგებელს ვერ აძლევდა კოლექტივს და სისტემატურად აგებდა ბრძოლას, კარგავდა ბურთს. თბილისელთა დასვენებული რეზერვი კი ხელუხლებელი დარჩა და სათადარიგო მოთამაშეები მაყურებელთა რიგში იყვნენ მატჩის დამთავრებამდე.

სიმპტომი იმისა, რომ ძალაშემონახული მოსკოველები შესვენების შემდეგ გარდაქმნიდნენ თამაშს, ცხადად გამოჩნდა პირველი ტაიმის დასასრულს, როცა შტაპოვისა და მასლოვის რეიდების შემდეგ ურუშაძის კართან ზედიზედ შეიქმნა ძალიან სახიფათო მომენტები.

პირველი ტაიმის განმავლობაში თბილისელ მცველებს არაერთხელ მიეცათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა მოპირდაპირე კართან. ეს თამაშის მსვლელობით იყო ნაკარნახევი და გამართლებული, მაგრამ მატჩის დასასრულს, როცა მოსკოველები სრული ძალით ათამაშდნენ, როცა კრიტიკული მომენტები ჩვენს საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა, საჭირო იყო უკიდურესი სიფრთხილე და ყურადღებიანობა შემტევი მოწინააღმდეგის მიმართ, ზომიერების დაცვა, რათა ქულა მაინც შეგვენარჩუნებინა. ამის ნაცვლად დაცვა ისევ წინ მიიწევდა, ისევ იერიშისთვის ხელსაყრელ მომენტს ეძებდა, მის ზურგს უკან კი საბედისწერო ამბები ხდებოდა. ეს იყო აშკარა ტაქტიკური წინდაუხედაობა, რომელსაც სავალალო შედეგიც მოჰყვა.

თუ განვიხილავთ მატჩს მთლიანობაში, იგი არ უნდა წაგვეგო, მაგრამ თამაში დეტალებისგან შედგება და, როცა ამ დეტალებში შეცდომას დაუშვებ, წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 26 ივნისი, 1971 წ.